# ჩვენი ცხოვრება

თბილისი
ოთხშაბ.
21 თებერვალი
1907 წ.
წელიწადი I.

№ 3 ყოველ დღიური გაზეთი. № 3



მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

## ჩვენ ცხოვრებაზე

აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

**გაზეთი ღირება:**

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 5 მ. | წლიურათ | 6 მ. |
| ექვსი თვით | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

**ცალკე ნომერი 3 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба“.

**ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე“-ში.** მიხეილის ქ. № 40.


## რევოლიუცია თუ ოპოზიცია?

დღევანდელი სახელმწიფო სათათბირო დიდათ განსხვავდება პირველისაგან: პირველში კადეტები იყვნენ პირდაპირი „ხაზეინები“,—როგორც რიცხვით, ისე გავლენით; ისინი თავის ბეჭედს ასვამდნენ მთელ სათათბიროს მოქმედებას. მეორეში იმას გარდა, რომ მემარჯვენეები კარგა ბლომათ არიან წარდგენილები, მემარცხენენი კიდეც ამეტებენ კადეტებს. ეს გარემოება, თუ დავუჯერეთ კადეტურ გაზეთებს, ძალიან ახარებს .. კამარილას: რევოლიუციონერი მემარცხენენი ოპოზიციონურ კადეტებს სასტიკ ბრძოლას გაუწევენ, ამგვარათ ისინი ორივე ერთმანეთს დაასუსტებენ და მთავრობისთვის აღარ იქნებიან საშიშნი. აქედან ხსენებულ გაზეთებს დასკვნა გამოჰყავთ: დეე, რევოლიუციონერი მემარცხენენი ნუ გაახარებენ კამარილას, ნუ შეებრძოლებიან კადეტებს; პირიქით, მხარი დაუჭირონ მათ მთავრობასთან ბრძოლაში; ერთი სიტყვით, დეე, სოციალდემოკრატიამ „საერთო ოპოზიციის“ რაზმი შეადგინოს. ჩაუკვირდეთ ამ მსჯელობას და ამ დასკვნას.

მართალია,—რაც კამარილას გაახარებს, ის სოციალდემოკრატიისათვის ვერ იქნება სასიხარულო; მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სოციალდემოკრატია თავის ტაქტიკას ვერ ააშენებს მხოლოდ იმის უარყოფაზე, რაც, ამა თუ იმ გაზეთის სიტყვით, კამარილას ესიამოვნება. სოციალდემოკრატია საკუთარ ტაქტიკურ პრინციპებიდან გამომდინარეობს, და ის უფრო იმით უწამლავს კამარილას სიხარულს და სიამოვნებას, რომ ეს პრინციპები ცხოვრებაში სასტიკის ლოგიკით გაჰყავს. დღეს სოციალდემოკრატია თავის ტაქტიკას აშენებს **ხალხის ბრძოლაზე ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.** და თუ „მთელი ოპოზიცია“, ანუ სხვანაირათ სათათბირო „მთლათ“ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ იბრძოლებდა, ჩვენ მას უეჭველათ მხარს დავუჭერდით. მაგრამ ჩვენ წინდაწინვე უნდა გვქონდეს გათვალისწინებული: შეუძლიან თუ არა სათათბიროს ოპოზიციას, „მთელი სათათბიროს“ ეს ბრძოლა აწარმოვოს? არ შეუძლიან. სათათბირო უძლურია, უუფლებოა.

შეადგენს ჩვენს მოვალეობას ვცდილობდეთ, რომ სათათბირო ძალ-უფლებიანი შეიქმნეს? არა. ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ იმას, რაც შეუძლებელია. სათათბიროს თვით არ შეუძლიან ძალა-უფლება დაიპყროს. სათათბიროს შეუძლიან მხოლოთ ხალხს დაეხმაროს ძალა-უფლების დაპყრობაში—თვისი აგიტაციით—ის აგიტაციონური ტრიბუნაა.

აქედან სულ სხვა დასკვნის გამოყვანა შეგვიძლიან. სააგიტაციოთ, მასსათა შესაკავშირებლათ სრულებითაც არ არის საჭირო „საერთო ოპოზიცია“. პირიქით, რაც უფრო თავისუფლათ გვიჭირავს თავი, რაც უფრო დამოუკიდებელი ვართ წვრილ-უწვრილ ბურჟუაზიისაგან, რაც უფრო ფართოთ და ცალკე გვაქვს გაშლილი ჩვენი საკუთარი პროლეტარულ-რევოლიუციონური დროშა, მით უფრო უკეთესათ წავა აგიტაცია, მით უფრო ადვილი იქნება ხალხის მასსათა შეკავშირება, მით უფრო უკეთეს დახმარებას გაუწევთ ხალხს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

სამაგიეროთ, თუ ვიწამებთ იმ ილიუზიას, რომ „მთელი სათათბირო“ შეებრძოლება მთავრობას ძალა-უფლების წასართმევათ მაშინ „საერთო ოპოზიციაც“ საჭიროთ მოგვეჩვენება.

მაგრამ შეიძლება გვითხრან: სათათბირო, მისი ოპოზიცია ერთსაც იზამს და მეორესაც; ის „აგიტაციას გასწევს“,—ხალხს შემოიკავშირებს და ხალხს ძალა-უფლებისათვის საბრძოლველათ წაუძღვება. როგორი რევოლიუციონერები ხართ თქვენ—სოციალდემოკრატები, თუ რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფს, პარტიას, დაწესებულებას მხარს არ დაუჭერთ მთავრობასთან საქმით ბრძოლაში ძალა-უფლებისათვის.

დიახაც, ჩვენი მოვალეობაა ყველა ასეთ მისწრაფებას მხარი დაუჭიროთ... მაგრამ მაშინ, თუ „ოპოზიცია“ შეეცდებოდა თავის ბრძოლაში ხალხის შემოკრებას, ხალხზე დაყრდნობას, ის ოპოზიცია აღარ იქნებოდა, ასეთ ნაბიჯს ჩვენ წმინდა რევოლიუციონურ ნაბიჯათ ჩავთვლიდით და, როგორც ასეთს, ენერგიულათ მხარს დაუჭერდით.

მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ დუმის ოპოზიციას—კადეტებს—სრულებითაც არა სურს თავის ლატაკ ოპოზიციონერობაზე შორს წავიდეს და რევოლიუციონურ გზაზე შედგეს. ისე დამღუპველი და სახიფათო არაფერია, როგორც ცრუ იმედები. ცრუ იმედი იქნება კადეტებისაგან რევოლიუციონურ ნაბიჯს გამოველოდეთ. მათი კლასსიური შინაარსი, მათი წარსული, და დღევანდელი მათი ქცევა,—ყველა ეს ცხადათ იმას მოწმობს, რომ ისინი რევოლიუციას არამც თუ არ დაეხმარებიან, პირიქით, შეებრძოლებიან კიდეც, ამას ისინი არცა მალავენ. ჩვენი ლოზუნგია: სასტიკი ბრძოლა როგორც რესტავრაციასთან, ისე რევოლიუციასთანო, თითქმის ყოველდღე იმეორებს კადეტების მთავარი ორგანო „რეჩი“.—კენჭი ჩაგვიგდეთ და სხვა არავითარ დახმარებას არა გთხოვთო,—ასე ეუბნებოდნენ ხალხს არჩევნებზე კადეტები.—დიახაც, მათ ხალხის დახმარებისა ეშინიათ.

ამის საუკეთესო დამტკიცება მთელი მათი მოქმედებაა პირველ სათათბიროში. გაიხსენეთ კადეტების მიმართვა ხალხისადმი, რომელშიაც აშკარათა სჩანდა ლიბერალების შიში ხალხის მოძრაობის წინაშე; რომელშიაც ისინი ხალხს სთხოვდნენ, დაწყნარდიო. მოიგონეთ ტრუდოვიკების პროექტი აგრარულ კომიტეტების შესახებ, რომელსაც მიზნათ სოფლის მასსის ორგანიზაცია ჰქონდა, და რომელსაც სწორეთ ამიტომ კადეტებმა შავი დღე დააყენეს. მოიგონეთ მენშევიკების ქედმაღალი დაპირება—ჩვენ ჩვენის მუჯლუგუნებით კადეტებს გავარევოლიუციონერებთო, და კადეტების გაწიწმატებული შეტევა მენშევიკების მიმართ: ზრდილობიანათ მოიქეცით, მუჯლუგუნების წაკვრა-წამოკვრა არ იყოს, ჩვენ თქვენ ვერ გაგვარევოლიუციონერებთ; სათათბიროში ჩვენ **საკანონმდებლოთ, ორგანიულ მუშაობის** საწარმოებლათ მივდივართო.

ერთი სიტყვით ჩვენ „გულისტკივილით“ უნდა შევურიგდეთ იმ სავალალო ფაქტს, რომ სათათბიროს ოპოზიცია ოპოზიციათ დარჩება. „საერთო ნიადაგს“ მათთან „სათანამშრომლოთ“ ვერ აღმოვაჩენთ, თუ ჩვენ ჟითოთ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნიადაგი არ დავტოვეთ და „კონსტიტუციონურ“ რეფორმატორულ ჩხირკედელაობის ნიადაგზე არ შევდექით, საითაც ასე გვეპატიჟებიან კადეტები.

---

### პრესა

**წვრილფეხა ტყუილები, თუ შეცდომები?** გაზ. „წინ“-ში რ—ძე მოკლე ისტორიას იძლევა პეტერბურგის კონფერენციის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, მოსაწონია: არ შეიძლება არ მოგეწონოს, როცა თბილელი მენშევიკი თავისივე პირით მოგითხრობს პეტერბურგელი მენშევიკების „წახდენას“. მაგრამ კარგი არ არის ის, რომ ჩვენს რ—ძეს ზოგიერთა წვრილფეხა ტყუილები, თუ შეცდომები, შეჰპარვია. აი, მაგალითათ, რ—ძე სწერს, რომ კონფერენციაზე არჩევის დროს „მენშევიკებმა მიიღეს 1732 ხმა, ბოლშევიკებმა 1675 და ბლოკისტებმა—180“ (იხ. № 6). ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა, ან სასაცილო შეცდომა. ჯერ ერთი, რომ დისკუსიების დროს ორ მთავარ ტაქტიკაზე იყო ლაპარაკი: ტაქტიკაზე კადეტებთან **შეთანხმებისა** (მენშევიკური) და ტაქტიკაზე კადეტებთან **ბრძოლისა** (ბოლშევიკური). საიდან გამოატყვრინა ჩვენმა მენშევიკმა მესამე ტაქტიკა,—„ბლოკისტების“ ტაქტიკა? და განა ქვეყანამ არ იცის, რომ კონფერენციაზე ორი ტაქტიკა იბრძოდა და არა სამი, რომ კონფერენცია ორ ნაწილათ დაიყო: ბოლშევიკურათ და მენშევიკურათ, და არა სამ ნაწილათ? რატომ დასჭირდა რ—ძეს ეს ფეხმოკლე ტყუილი? მეორეთ, საიდან იცით, რომ **მენშევიკებმა** 1732 ხმა მიიღეს? რა იცით, რომ, თუ დისკუსიებს არ გაექცეოდენ მენშევიკები, ამ ხმების ნახევარი ბოლშევიკებს არ აირჩევდა? რატომ გაექცნენ პეტერ. მენშევიკები დისკუსიებს? განა არ იცით, რომ, სადაც არჩევნები უდისკუსიოთ ხდება, იქ მენშევიკურ ხმებზე ლაპარაკი მეტია! არ გახსოვთ ფაქტები მუშათა კურიაში არჩევნებიდან, როცა მასა მენშევიკების მაგიერ ესერებს ირჩევდნენ, როცა გაიგეს, რომ მენშევიკები კადეტებთან შეთანხმების მომხრენი არიანო? არ გახსოვთ სემიანიკოვის პოდრაიონის ორგანიზატორის ატჩოტი: „როცა მასამ გაიგო, რომ სოც.-დემოკრატიული კანდიდატები კადეტებთან შეთანხმების მომხრენი არიან, და ეს კანდიდატები მენშევიკები არიანო, პირდაპირ სთქვეს, რომ მენშევიკებს ხმას არ მივცემთო“ (იხ. „პროლ.“ № 12). არ გახსოვთ იმავე ორგანიზატორის ატჩოტში შემდეგი სიტყვები: „საფაბრიკო პოდრაიონში მენშევიკებთან ნევის სტეარინის ზავოდში მუშამ ნ. მ—მ, რომელიც რწმუნებულათ წამოაყენეს მენშევიკებმა, პირდაპირ განაცხადა: „მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ სოც.-დემოკრატია კადეტებთან შეთანხმების მომხრე ყოფილა, მე ესერებთან გადავდივარო“ (იხ. იქვე). რას ნიშნავს ეს? მხოლოთ იმას, რომ უდისკუსიოთ მიღებული ხმები მენშევიკურ ხმებათ არ ჩაითვლება. და თუ ბოლშევიკებმა მაინც მენშევიკურათ სცნეს ეს ხმები, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი რბილათ მოეპყრნენ მენშევიკებს... ამიტომ „გენერლობაზე“ ლაპარაკი მხოლოთ სასაცილოა. რ—ძეს ლაპარაკს რო ყური დაუგდოთ, გამოდის, რომ თუ ბოლშევიკები მენშევიკების ყალბ მანდატებს დაამტკიცებდნენ, მაშინ ისინი მცირე ნაწილათ შეიქნებოდნენ. ამ აზრის სიყალბის გამოსააშკარავებლათ მოგვყავს შემდეგი ციფრები: ისეთი ხმები, რომლებშიაც ეჭვი არ შეუტანიათ მენშევიკებს, ბოლშევიკებიდან წარმოდგენილი იყო სულ 1848 ე. ი. 37 დელეგატი (50 კაცზე თითო) ხოლო მენშევიკებიდან არა საეჭვო ხმები (სადაც დისკუსიები ყოფილა და სხვა) წარმოდგენილი იყო სულ 787, ე. ი. 16 დელეგატი. ისეთი ხმები, რომლებშიაც ეჭვი შეიტანეს მენშევიკებმა, ბოლშევიკებს ჰყავდათ სულ 300 და ერთი მანდატი (50 ხმა) სამხედრო ორგანიზაციისა. მენშევიკების საეჭვო ხმები კი უდრიდა 946-ს, ე. ი. 19 მანდატს (აქ დისკუსიები არ ყოფილა და სხვა). როგორცა ხედავთ მენშევიკების ხმები საეჭვოიანუეჭვოიანოთ 1733 მეტი არ ყოფილა. მაშინ როდე-

საც ბოლშევიკების ხმები საექვოიან—უექვოიანთ 2190-მდე ყოფილა. საეჭვო მანდატებიდან კონფერენციამ ნ ბოლშევიკების დაამტკიცა და 12 მენშევიკების, აქედან 42 მანდატი ბოლშევიკების და 28 მენშევიკების. ამას ამბობს ციფრები (იხ. „პრ.“ № 12). მაშ რისთვის დასჭირდა რ—ძეს კოჭლი ტყუილების ლაპარაკი?

რ—ძეს ლაპარაკს რო ყური უგდოთ, გამოდის, რომ მენშევიკებმა უმთავრესათ ზოგიერთა მათი მანდატების დაუმტკიცებლობის გამო გაანებეს თავი კონფერენციას. ჩვენ ვამბობთ, რომ არც ეს არის მართალი. მთავარი მიზეზი (თუ ერთათ ერთი არა) ის იყო, რომ კონფერენცია არ დაეთანხმა ც. კ-ს ბძანებას შესახებ ორათ გაყოფისა. ც. კ. თავს ანებებდა კონფერენციას, მან ასეთი განცხადება შეიტანა: „რადგანაც პ. კ—სგან მოწვეულმა კონფერენციამ... სახეში არ მიიღო ორგანიზაციებისთვის სავალდებულო ც. კ-ს დირექტივები, 10 ნოემბ. და 5 იანვ. გამოცემული (შესახებ ცალცალკე კონფერენციებისა)... ვაცხადებთ, რომ... ამ კონფერენციის გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს პეტერბურგის ორგანიზაციის ნაწილებისთვის“. (იხ. „პრ.“ №12). განაცხადა ეს ც. კ—მ და წავიდა კონფერენციიდან. მას გაჰყვა 28 მენშევიკი. ცხადია მთავარი მიზეზი ის ყოფილა, რომ ც. კ—ს დირექტივებს არ დაემორჩილნენ ბოლშევიკები. ხოლო რამდენათ სამართლიანი იყო ც. კ—ს დირექტივები, რომელიც პეტერბურგში კონფერენციას აიძულებს ორათ გაყოფას და ვილნო—ოდესა—ბაქოში კი **ხმასაც არ იღებს** ამაზე,—ეს ყველასთვის ცხადია. და გვიკვირს, რამდენათ „კაზიონი“ ან უაზრო უნდა იყოს კაცი, რომ ც. კ—ს ასეთ საქციელს ამართლებდეს...

რაც შეეხება, მენშევიკების „დამოუკიდებლათ“ გამოსვლას არჩევნების დროს, რომელზედაც ასე ენატკბილათ გველაპარაკება რ—ძე, ეს ისეთი ტყუილია, რომელსაც ბავშვიც კი არ იკადრებს. განა ანტირევოლიუციონურ კადეტებთან შეთანხმება, მათი კანდიდატების თქვენ მიერ გათეთრება, მათი ლოზუნგების მხარის დაჭერა და სხვა ამისთანა ლიბერალობა „დამოუკიდებლობაა?“ მაშ რატომ კადეტებად არ აღიარებთ თავს, თუ კი კადეტობა „დამოუკიდებლობა“ ყოფილიყო? რაღას უცდით, ვისი გრცხვენიანთ?...

ასეთია მთავარი ტყუილები, თუ შეცდომები რ—ძისა. დანარჩენ პატარა ტყუილებზე არაფერს ვამბობთ, რადგანაც ისინი თავისთავათ გამომდინარეობენ დიდ ტყუილებიდან.

—

**კიდევ ფაქტები.** ჩვენ გუშინდელ „პრესას“ ძალიან გაუჯავრებია გაზ. „წინ“.—რას „ილანძღებითო?“ ჩვენი პასუხი: იმიტომ ვილანძღებით, საყვარელო ამხანაგებო, რომ გასალანძღები ხართ. ვინც სოციალდემოკრატიას გაურბის და კადეტებს ეკედლება, მუდამ გასალანძღია. პეტერბურგელი მენშევიკები კი სწორეთ ასე მოიქცნენ და, თუ თქვენ მათ ამართლებთ, თქვენც გასალანძღები ყოფილხართ. ვფიქრობთ, რომ „წინ“-ი დავაკმაყოფილეთ. შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„პრესის ავტორს ჰგონია, რომ რაკი ბუნდი, ლატიშები და პოლონელები ბოიკოტს აცხადებდნენ, მათ ეს ტაქტიკა მოსწონთ ო. მაგრამ ავიწყდება, რომ ბოიკოტი გაატარა რუსეთის პროლეტარიატმაც და მიუხედავათ ამისა, დაჰგმო ის.“

მაშასადამე. აქ ლაპარაკი იმაზე კი არაა: საჭიროა თუ არა **ეხლა** ბოიკოტი,—არამედ იმაზე, რომ **კარგა მოიქცა, თუ არა სოციალდემოკრატია, როცა მან ბოიკოტ ი გამოუცხადა ვიტეს სათათბიროს?** „წინ“-ს ლაპარაკიდან გამოდის, რომ სიეზდზე დამსწრეთა უმეტესობამ შეცდომათ აღიარა ბოიკოტიო. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს **მართალი არ არი**. აი, ფაქტებიც. როცა მენშევიკებმა (18000 ხმა) შემაერთებელ სიეზდზე შეცდომათ აღიარეს ბოიკოტი, მაშინ სიეზდის ბიუროში განცხადება შემოიტანა ოთხმა დელეგაციამ: ლატიშების (10600 სათათ. ხმა), პოლონელების (25000 სათათ. ხმა), ბუნდის, 30,000, თუ მეტი არა) და ფინლიანდიის (სტუმრათ იყვნენ ფინლიანდელები), რომ ისინი ბოიკოტის ტაქტიკას **ერთათ-ერთ სწორე ტაქტიკათ აღიარებენ, რომ, ის შეცდომა არ იყო** და სხვა. მიუმატეთ ამას ბოლშევიკების 12—13000 ხმა და გაიგებთ, რომ პროლეტარიატის მხოლოთ **მცირე ნაწილს** „დაუგმია“ ბოიკოტის ტაქტიკა. ვიწვევთ „წინ“-ს რედაქციას გააბათილოს **ეს ფაქტები**.

რაც შეეხება ლოზუნგს: გაუმარჯოს დუმას, ძირს საერთო იერიშები და—განა ცხადი არ არის, რომ მენშევიკებს ლიბერალებთან ერთათ შეუთვისებიათ ეს შესანიშნავი ლოზუნგები? ორში ერთი: ან ამოშალეთ „წინ“-ს ფურცლებიდან ეგრეთ წოდებული პართენაშვილის წერილი, ან და ნუღარ უარობთ, რომ თქვენი ლოზუნგია. „ძირს საერთო იერიშები“. აირჩიეთ!

—

**ლიბერალების ლოცვა.** ახლოვდება სათათბირო და სასოება იპყრობს ლიბერალების გულს. სათათბირო მათთვის ეკლესიაა, რომელშიაც ისინი „გულის წმინდით“ სდგამენ ფეხს, სადაც სამლოცველოთ აღაპყრობენ თვალს და ხელს უზენაეს... მთავრობისადმი და გამოსთხოვენ თავისუფლებას. მაგრამ თავისუფლება მერე—ჯერ ამნისტია იყოს. გაზეთ-ტელეგრაფში მაქსიმ კოვალევსკი ეხლავე შეუპყრია ლოცვის გრძნობას და უნდა ეს წმინდა გრძნობა მემარცხენეებსაც გადასდოს. ის შორიდან იწყობს რა კარგია მონარხია, რამდენათ უკეთესია ის რესპუბლიკაზე

„რესპუბლიკანულ ქვეყნებში ამნისტია მხოლოთ კანონით იბოძება,-პალატაში განიხილება და პრეზიდენტის მიერ მტკიცდება. მონარხიაში კი ის სახელმწიფოს უფროსის (მეფის) უძვირფასეს უფლებას შეადგენს... უზენაესი ძალა (მეფისა) გამოხატავს დამოუკიდებლობას, ქვეყნის და ხალხის მთლიანობას და ერთიანობას... მან უნდა აპატიოს დანაშაული იმ პირთ, რომლებიც კანონის საწინაალმდეგო საქმეებს გაჰყოლიან არა ანგაარებით, არა პირად სიძულვილით და მტრობით არამედ ფანატიკური გატაცებით“.

და კეთილი კავალევსკი მემარცხენეებს მიმართავს,—ოქვენცა სთხოვეთ, უარს არ გეტყვითო:

„როგორ შეიძლებენ ზედ დამშვიდებულ მუშაობას ის მემარცხენენი-რომლებიც ბედნიერმა არჩევანმა ტავრიდის სასახლეში მოიყვანა, მაშინ როცა მათი უფრო ცხარე ამხანაგები ციხეში და ციმბირში მოჰყოლიან?... წარმოსთქვით სიტყვა ყოვლად-მიტევებისა, და ხალხის მილიონები აყურთხებენ იმის სახელს (მისი უდიდებულესობის—პროლეტარიატისას?), რომელმაც 17 ოქტომბრის მანიფესტით პირველი ნაბიჯი გადასდგა ერის სურვილების დასაკმაყოფილებლათ“.

რა მასხარა ხალხია ეს კადეტი პროფესორები!

—

## ახალი ამბავი

✦ კვირას, 18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, გიორგი მიქაძისა და ანტ. გვანცალიანის ღვინის სარდაფში, (ნაძალადევში) ვიღაც შეიარაღებული ბოროტ განმზრახველები შევარდნენ და დაიწყეს სროლა, რომლის დროსაც მძიმეთ დაჭრილა ან. კვანტალიანი და სამი იქ მყოფი რკინის გზის მუშა. დაჭრილი კვანცალიანი მიხეილის სათავთმყოფოში წაიყვანეს, ხოლო მუშები რკინის გზის ლაზარეთში. ბოროტგანმზრახველნი მიიმალეჵ

✦ გუშინ საღამოს საგანგებო მატარებლით პეტერბურს წავიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

✦ თბილისის გენ.-გუბერნატორმა ნება დართო, რომ გახსნილ იქმნას, კიროჩნი ქუჩაზე ამას წინათ დაკეტილი, კაიდანოვის ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

✦ თბილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, პასუხის მგებელ რედაქტორ-გამომცემლათ, ჟურნალ „Извѣстія Тифлисской Городской Думы“ დაინიშნა საბჭოს მდივანი ს. თ. ჭრელაშვილი, რომელიც გამგეობამ უკვე წარუდგინა გუბერნატ. დასამტკიცებლად.

✦ მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, რომელნიც გაიფიცნენ 1905 წ. ნოემბერში, მთავრობამ პასუხის გებაში მისცა. გუშინ-წინ, 18 თებერვალს, პასუხის გებაში მიცემულმა მოხელეებმა, რომელნიც სატუსაღოდან თავდებობით არიან განთავისუფლებულნი, უკვე მიიღეს სა-

---

# ფელეტონი

### ტკბილი წარსული

საღამოს ბინდი გულს დააწვა მძიმე ნაღველად,
ფიქრმა ერთს წუთში წარსულს თავზე გადაუარა,
მე მომაგონდა მოთამაშე ნიავი ველად,
და მოთამაშე ჩვენ წინ ცელქი, წყალი ანკარა!
მე მომაგონდა წრფელი გრძნობა, წრფელი სიტყვები,
ბედნიერების ტკბილი წუთი, ტკბილი ალერსი:
ის იყო ჩანგზე სიყვარულის მწყობრი სიმები,
ვარდის ქვითინი, საამური ამონაკვნესი!
გავიდა წელი, შეგხვდი მაგრამ ის აღარ იყავ,
ცბიერ ცხოვრებას დაეჩნია თავისი კვალი,
სადღაა იგი გულწრფელობა, უმანკოება,
შენს არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი!
და ის კვნესოდა: „მეც ცხოვრების ერთი შვილი ვარ,
გარემოების სათამაშო, მან გადამლახა,
შენ გმირს ეძებდი, მე კი მხოლოთ ყმა და მიწა ვარ,
ამ ჩემს მკერდზედაც მის ბრჭყალები გამოისახა!
ოხ, რა მწარეა ეს წარსული, ეს მოგონება,
შენებრივ ქია რამდენია ჩვენს ცხოვრებაში,
და აი, ეხლა ამ ბინდ-ბუნდში შფოთავს გონება
ტკბილი წარსული ილესება მწარე ნაღველში!

**ი. ევდოშვილი**

---

## ანარხიზმი თუ სოციალიზმი?*)

### III

### პროლეტარული სოციალიზმი

ჩვენ ვიცნობთ ახლა მარქსის ტეორეტიულ მოძღვრებას, ვიცნობთ მის **მეტოდს**, ვიცნობთ, აგრეთვე, მის **ტეორიას**.

რა პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ მოძღვრებიდან?

დიალექტიური მეტოდი ამბობს, რომ ბოლომდე პროგრესიული მხოლოთ ის კლასი შეიძლება იყოს, მონობის უღელი მხოლოთ იმ კლასმა შეიძლება დაამსხვრიოს, რომელიც დღითი-დღე იზრდება, მუდამ წინ მიდის და დაუდგრომლათ მიიბრძვის უკეთესი მომავლისკენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთათ ერთი კლასი, რომელიც დაუდგრომლათ იზრდება, მუდამ წინ მიდის და მომავლისკენ მიიბრძვის—სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატია. მაშასადამე, ჩვენი ვალია პროლეტარიატს ვემსახუროთ და მასზე დავამყაროთ ჩვენი იმედები. წინაალმდეგ შემთხვევაში ცხოვრებას ჩამოვრჩებით და მოძრაობის ხორცმეტათ გადავიქცევით.

მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც: პროლეტარიატს „ემსახურება“ ბერნშტეინი, როცა ის სოციალიზმის დავიწყებას უქადაგებს მას; პროლეტარიატს „ემსახურება“ კრაპოტკინი, როცა ის სოციალიზმის დაქუცმაცებას ჩასჩურჩულებს მას; პროლეტარიატსავე ემსახურება კ. მარქსი, როცა ის ფართე სოციალისტური ცხოვრებისკენ მოუწოდებს, როგორც უმთავრესი მიზნისკენ. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენმა სამსახურმა ვნება არ მოუტანოს პროლეტარიატს? როგორ უნდა ვემსახუროთ პროლეტარიატს?

მატერიალისტური ტეორია ამბობს, რომ ამა თუ იმ იდეალს შეუძლიან პირდაპირი სამსახური გაუწიოს პროლეტარიატს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იდეალი არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თუ ის სავსებით ეხამება ამ განვითარების მოთხოვნილებას. კაპიტალისტური ცხოვრების ეკონომიური განვითარება გვეუბნება, რომ დღევანდელი წარმოება სოციალისტურ ხასიათს იღებს, რომ წარმოების სოციალისტური ხასიათი ძირიანათ უარჰყოფს არსებულ კაპიტალისტურ საკუთრებას,—მაშასადამე— ჩვენი მთავარი ვალია ხელი შეუწყოთ კაპიტალისტური საკუთრების დამხობას და სოციალისტური საკუთრების აღორძინებას. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ბერნშტეინის მოძღვრება, რომელიც სოციალიზმის დავიწყებას ქადაგებს, ძირიანათ ეწინააღმდეგება ეკონომიური წინსვლის მოთხოვნილებას,—ის ვნებას უფრო მოუტანს პროლეტარიატს, ვიდრე სარგებლობას...' კაპიტალისტური ცხოვრების ეკონომიური განვითარება გვეუბნება, რომ დღევანდელი წარმოება დღითი-დღე ფართოვდება, ის ვეღარ თავსდება ცალკე ქალაქებისა და გუბერნიების საზღვრებში, დაუდგრომლათ ამტვრევს ამ საზღვრებს და მთელი სახელმწიფოს ტერიტორიას ეფინება,—მაშასადამე—ჩვენი ვალია ვზა დაულოცოთ წარმოების გაფართოვებას და მომავალი სოციალიზმის საფუძვლათ ვაღიაროთ ცალკე ქალაქები და დაბები კი არა, არამედ მთელი სახელმწიფოს მთელი და განუყოფელი ტერიტორია, რომელიც, რა თქმა უნდა, უფრო და უფრო გაფართოვდება მომავალში. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ კრაპოტკინის მოძღვრება, რომელიც ცალკე ქალაქებსა და კომუნებში ამწყვდევს მომავალ სოციალიზმს, სასვებით ეწინააღმდეგება წარმოების გაფართოვებას,—ის ვნებას უფრო მოუტანს პროლეტარიატს, ვიდრე სარგებლობას.

ბრძოლა **ფართე** სოციალისტური ცხოვრებისთვის, როგორც **უმთავრესი** მიზნისთვის—აი როგორ უნდა ვემსახუროთ პროლეტარიატს.

ასეთია მეორე პრაქტიკული დასკვნა

*) იხ. ახ. დრ." №8.

პრალმდებლო ოქმები, რომელიც 12 ფურცლისაგან შესდგება. ბრალსა სდებენ სასჯელთა დებულების 126 მუხლის მე-II ნაწილითა და სხვა მრავალ სასტიკ პუნქტებითა და სტატიებით.

✦ გაზ. „ტოვარიშჩს“ კარგოპოლიდან დეპეშით ატყობინებენ შემდეგს:

„გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებსა და ამხანაგებს პოლიტიკურ გადასახლებულის **ბესარიონ სიმონის ძის კვაჭაძის**, შესახებ რომ იგი, ბესარიონი, **გლეხებმა მოჰკლეს** 9 თებერვალს. კარგოპოლის პოლიტიკურ გადასახლებულთა რწმუნებულნი ლინკვისტი და სლეპიშჩევი“.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა შეიწყნარა თბილისის თვითმმართველობის შუამდგომლობა „ვაკეს“ მიდამოს ქ. თბილისის საზღვრებში ჩარიცხვის შესახებ.

✦ თბილისის რეალურ სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა,—რადგან ამ სასწავლებლის უკანასკნელ კლასებში უწესოება არ ისპობა, დაიხუროს მე-5, 6 და 7 კლასები ახალ განკარგულებამდე.

✦ 18 თებერვალს, ექიმმა ნოვიცკიმ, რომელიც ევანგულოვის ქუჩაზე სცხოვრობს, პოლიციას განუცხადა, რომ 16 თებერვალს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მასთან მისულა ვიღაც ყმაწვილი კაცი, სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი, მოუპარავს სხვადასხვა ვერცხლეულობა, ასი მანეთი ფულათ და მიმალულა.

✦ 18 თებერვალს, პოლიციამ დააპატიმრა თბილისის მცხოვრებნი კონსტანტინე ევ'ევი და სარქის მღებროვი გორის მაზრის მცხოვრებნი: ქრისტეფორე ქიტუაშვილი და ტატო სამხარაძე, რომელთაც ძარცვა-გლეჯას აბრალებენ.

## პროვინცია

**რაჭა-ლეჩხუმი.** არჩევნებში სოც. დემ-ის გამარჯვებამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რაჭას ადმინისტრაცია-რეაქციონერებზე, და ამის გამო ისევ დაიწყეს წინათ ნაცადი თავის მოკატუნება და მეგობრობაზე ლაპარაკი.-დარაჯთა ურიადნიკმა ცნობილმა მიხა ბაქრაძემ „იარაღ-ბოგონები“ აიყარა და ისე დაბრ'ანდება, გგონებ, საიდუმლო აგენტის მოვალეობით.-ხალხში ხმა დადის, გითომ მისზე იმისმა ძმამ თოფურიასეულ საავადმყოფოს ექიმმა ვიქტორმა იქონია გავლენა და სისაძაგლე მოაშლევინა, მაგრამ ეს მართალი არ არის და ეს ორი ძმა ხულიგანობაზე სავსებით ეთანხმებიან ერთი მეორეს. რომ ეს ასეა, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ აშას წინეთ თოფურიასეულ საავადმყოფოში რამოდენიმე მოსამსახურე დააპატიმრეს, რის მიზეზაც მარტო ის უთვლიათ, რომ მათ ადგილზე ვიქტორს თავისიანების დაყენება უნდოდა. და ეს სხვა გვარათ, რომ ვერ მოახერხა, პოლიციას შეატყობინა: მოსამსახურეები „სოციალისტობენო“ -ვიქტორს მეტად ეჯავრება სოც. დემ. პარტია-ამბობს: აბა რა პარტიაა ის, რომელიც შობს და მერე სამარის კარს დიდებულათ მიაცილებს ისეთ „იდიოტებს“, როგორიც იყო ალ. წულუკიძე რა გაეწყობა რაკი „იდიოტების“ გამოცნობაზე მიდგა, ამას მკითხველი უკეთ გამოიცნობს და მე კი მეორე ექიმ დავით ჯაფარიძეზე გადავდივარ, რომელიც ექიმობას გარდა რაჭაში თავად-აზნაურთა წინამძღოლიც არის—ეს ის დავით ჯაფარიძეა, რომელიც ფედერალისტებმა რაჭაში ამომრჩევლათ შეაპარეს და რომელმაც· ამას წინეთ ბაღდადში უმიზეზოთ საარჩევნო კრება დახურა და 500 ამომრჩეველს ერთის კალმის გასმით ხმა დაუკარგა. თ-დი დავითი, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რათქმა უნდა, ყოველთვის თავმჯდომარეობს სამხედრო ბეგრის მოსახდელათ ყმაწვილკაცთა მიღების დროს, და თუმცა მისი სამსახური ჯერ ხანგრძლივი არ არის, მაგრამ მაინც საკმაოთ დაუვარდა ხალხში „ВЗЯТОЧНИКЪ“-ის სახელი. იშვიათად შეხვდებით რაჭაში ისეთ კაცს, რომელიც არ კითხულობდეს: „რა ამბავია, მთელი ზედა რაჭიდან „სალდათათ“ სულ რამოდენიმე კაცი მიიღეს მიუხედავათ იმისა, რომ ის (ზედა რაჭა) ქვეყანაზე კაცის სისაღით და თითქმის ბეგრის მოსახდელათ გასაწვევთა რიცხვითაც წინა სდგას? ამის პასუხი მხოლოთ ერთი ისმის: „ზედა რაჭაში გლეხობა ფულიანია და ამიტომ იქაურებმა, შესძლეს რა დავითის „კანცელარიის“ დაკმაყოფილება, მათ მაგიერ ღარიბ ქვედა-რაჭველებს უკრეს სამსახურში თავი!“ ასეთია ხმები, და, რომ ეს ხმები მართალია, სჩანს იქიდან, რომ რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს დავით ჯაფარიძეს საიდუმლო კავშირი აქვს და მუდამ მის გარშემო ფუსფუსებენ ვიღაც გერგელიშვილები, გოცირიძეები და სხვა, ხელობით მეყლეფელები (ამის დამტკიცებას ვკისრულობთ). მაგრამ ეჰ, აქაც რა გაეწყობა! ისევ ქუჩა ისევ ხალხი, თორემ ხომ ხედავ მკითხველო უნივერსიტეტის კედლებიდან როგორი მკურნალები ევლინება **რაჭას?!!**

ლეჩხუმიდამ მაზრის უფროსი ზაკუსიევი, ეს ალიხანოვის შემდეგ კიდევ „როზგ მათრახების“ შემომტანი, უკვე წავიდა და არ ვიცით ვინ დაიჭერს მის ადგილს. გლეხებს გამოფხიზლება ეტყობა და მიუხედავათ კაცლილი ჩირგვარამისა „სასიცოცხლოთ“ ემზადებიან. მათრახების ტყლაშუნი აღარ გაისმის და მკლავაძეებიც სხვაგან მიწუნარდნენ, მხოლოთ ჩუკვიშის საზოგადოებას კი ესენი დღესაც ამკობენ. ეს საზოგადოება ლეჩხუმში ყველაზე უფრო „ცოდვილათ“ არის ცნობილი და ამიტომ ყველაზე მეტი რისხვა მას ატყდება და ყველაზედაც მეტს მსხვერპლს სწირავს ხულიგანთა დღესასწაულებს- აქ ეხლა მინგრელსკის აგენტი ნიკო ასათიანი და პოლიციის მოხელე გიორგი გელოვანი მძვინვარებენ და მათი მტარვალობის ქვეშ ხალხი აუტანელ ტანჯვას გრძნობს. ამ ვაჟბატონების უძღები კუჭის დასაკმაყოფილებლათ ჩუკვიშის საზოგადოების გლეხები დღეში **ოცს „ხარჯს“** იხდიან და მაინც კიდევ მეტსა სთხოვენ. რომ მკითხველი ჩემის ნათქვამის სინამდვილეში დავარწმუნო, მომყავს შემდეგი ადგილი გიორგი გელოვანის შემთხვევით დაჭერილ წერილიდან: „ბიძა...! კაცო ზაკუსოვი გადაუყვანე და ბის ადგილს თურმე ბაქრაძეს აძლევენ. ასლან კვიტაშვილი პომოშნიკათ იქნებაო და მე კი არაფერი მეშველა. ბაქრაძე მედ არის და უთხარი წარმადგინოს. მაგან იცის, რომ ამ ცოტა ხანში ხუთი გადავარდნილი დავიჭირე. ახლა ჩუკვიშს ვარ და ორ დღეში ცხრაასი მანათი ავიღე“... გარდაფხაძესი ახლა აღარავის ახსოვს და მათი ადგილი გიორგი—ნიკომ დაიკავეს. ამას წინეთ ეს ორი ჯალათი მთელს საზოგადოებაში უღარიბეს გლეხს და ბუნებისაგანაც სცოდავათ გაჩენილს თომა წიწვარიას მიადგენ და გადასახადი ოთხი მანეთი მოსთხოვეს. რაკი ფული არ ჰქონდა და მათხოვართა ჯალათობაც იცოდა, საწყალმა თომამ ერთადერთი ხარი ჩააბარა მათ ჭრებალოს. ხარის ჩაბარების დროს შემთხვევით დაუსწრენ გზათ მიმავალი პავლე მოსეშვილი და ბოქაული პართენ ყიფიანი, რომლებმაც გლეხის საცოდაობა ვერ აიტანეს და რამოდენიმე სხვა დამხმარეებთან ერთათ თომას ხვედრი გადასახადი გაისტუმრეს. გახარებულმა თომამ ხარი სახლისაკენ წაიყვანა, მაგრამ წურბელასავით სისხლის მწუწნელებმა გიორგიმ და ნიკომ ის მალე მოაბრუნეს და უთხრეს: „ჩვენ შევცდით, ოთხი კი არა რვა მანეთი უნდა გადაგეხადა და რაკი ერთი ოთხი შენს მაგიერათ სხვებმა გადაიხადეს, ეხლა მეორე ოთხი შენ უნდა მოგვცეო“. ასეთმა უსამართლობამ გააბრაზა საწყალი თომა და სულთამხუთავებს ორიოდე სიტყვა შეჰკადრა; მაგრამ ამის შემდეგ გააწვენინეს ლეკის დარაჯებს და დიდ ხანს მწარე ცემით გულსაკლავათ აღრიალეს.

ადამიანის მოძულე გიორგი გელოვანს მეტად ჰყვარებია ძაღლები. ჩუკვიშელ გლეხებს საყანეები მთა ადგილებში აქვთ და რაკი ასეთ ადგილებს ნადირი ეტანება, ამიტომ იძულებული არიან მწყემსური ქოფაკები იყოლიონ ხშირათ განგებ ქართლიდან მოყვანილი. ალიხანოვის მიერ შემოტანილ რეაქციის დროს, ასეთი ქოფაკები გიორგიმ თითქმის 20-მდე წაართვა გლეხებს და წაიყვანა ზოგი თავისათვის და ზოგიც სხვებს შესთავაზა. კარგა ხნის შემდეგ ერთმა ქოფაკმა ძველი პატრონი ნესტორა სალუქაძე მოიგონა და გიორგის გამოეპარა, მაგრამ ისევ მალე მოითხოვა უკან. რაკი რეაქციის სუსხი მიმქრალი იყო, სალუქაძემ თავისი მურა ეღარ დაუბრუნა, მაგრამ როცა რეაქცია ისევ შობრუნდა, გიორგიმ ისევ წაართვა ძაღლი. საწყალი მურა! ნეტავ კიდევ დიდხანს მოუხდება „ტყვეობაში ყოფნა“.

**ია. კ—ძე**

---

მარქსის ტეორეტიული მოძღვრებისა.

ცხადია, დიალექტიური მატერიალიზმის პირდაპირი დასკვნა პროლეტარული სოციალიზმი ყოფილა.

რა არის პროლეტარული სოციალიზმი?

დღევანდელი ცხოვრება კაპიტალისტურია. ეს იმასა ნიშნავს, რომ ქვეყანა ორ მოწინაალმდეგე ბანაკათაა გაყოფილი: ბანაკათ ერთი მუჭა კაპიტალისტების და ბანაკათ უთვალავი პროლეტარების. პროლეტარები დღე მუდამ მუშაობენ, მაგრამ მაინც ღარიბათ რჩებიან. კაპიტალისტები არასდროს არ მუშაობენ, მაგრამ მაინც მდიდრები არიან. და ეს ასე ხდება იმიტომ კი არა, რომ, ვითომ, პროლეტარებს ჭკუა აკლიათ და კაპიტალისტები კი გენიოსები არიან,—არამედ იმიტომ, რომ პროლეტარების ნაშრომი კაპიტალისტებს მიაქვთ, კაპიტალისტები ექსპლუატაციას არტყამენ პროლეტარებს.

რატომ მაინც და მაინც კაპიტალისტებს მიაქვთ პროლეტარების ნაშრომი და არა თითონ პროლეტარებს? რატომ კაპიტალისტები არტყამენ ექსპლუატაციას პროლეტარებს და არა პროლეტარები კაპიტალისტებს?

იმიტომ, რომ კაპიტალისტური ცხოვრება საქონლის წარმოებაზეა დამყარებული, აქ ყველაფერი საქონლის სახეს იღებს, ყველგან ყიდვა-გაყიდვის პრინციპია გატარებული, აქ თქვენ შეგიძლიანთ იყიდოთ არა მარტო სახმარი ნივთები, არა მარტო სასმელ-საჭმელი, არამედ ადამიანების მუშა-ძალაც, მათი სისხლიც, მათი სინდისიც. კაპიტალისტებმა იციან ყველა ეს და ყიდულობენ პროლეტარების მუშა-ძალას, ქირაობენ მათ. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ კაპიტალისტები ბატონ-პატრონათ ხდებიან მათ მიერ ნაყიდი მუშა-ძალის, ხოლო პროლეტარებს უფლება ეკარგვით ამ მუშა ძალაზე. ესე იგი, რასაც ეს მუშა-ძალა დაიმუშავებს, ის პროლეტარებს აღარ ეკუთნის, ის მხოლოთ კაპიტალისტებს ეკუთნის და მათს ჯიბეში ჩადის. შეიძლება თქვენ მიერ გაყიდულმა მუშა ძალამ დღეში ათი თუმნის საქონელი დაამუშაოს, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ და არც გეკუთნით თქვენ, ეს მხოლოთ კაპიტალისტებს ეხება და მათ ეკუთვნის, —თქვენ მარტო თქვენი დღიური ხელფასი უნდა მიიღოთ, რომელიც, შეიძლება, საკმარისი იყოს თქვენი აუცილებელი მოთხოვნილებისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ხელმომჭირნეთ იცხოვრებთ... დიახ, კაპიტალისტები ყიდულობენ პროლეტარების მუშა-ძალას, ისინი ქირაობენ პროლეტარებს და სწორეთ ამიტომ არის, რომ პროლეტარების ნაშრომი კაპიტალისტებს მიაქვთ, სწორეთ ამიტომ არის, რომ კაპიტალისტები არტყამენ ექსპლუატაციას პროლეტარებს და არა პროლეტარები კაპიტალისტებს.

მაგრამ რატომ მაინც და მაინც კაპიტალისტები ყიდულობენ პროლეტარების მუშა-ძალას? რატომ პროლეტარები ექირავებიან კაპიტალისტებს და არა კაპიტალისტები პროლეტარებს?

იმიტომ, რომ კაპიტალისტური ცხოვრების მთავარი საფუძველი კერძო საკუთრებაა საწარმოვო იარაღებზე და საშუალებებზე; იმიტომ, რომ ფაბრიკები, ზავოდები, მთა-მადნები, ადგილ-მამული, ხე-ტყე, რკინის გზები, მაშინები და სხვა იარაღები ერთი მუჭა კაპიტალისტების კერძო საკუთრებათაა გადაქცეული; იმიტომ, რომ პროლეტარები ყველა ამას მოკლებულნი არიან. ამიტომ არის, რომ კაპიტალისტები პროლეტარებს ქირაობენ ფაბრიკა-ზავოდების ასამოძრავებლათ: წინაალმდეგ შემთხვევაში მათი საწარმოვო იარაღები და საშუალებანი ვერავითარ მოგებას მოიტანდა. ამიტომ არის, რომ პროლეტარები კაპიტალისტებს მიჰყიდიან ხოლმე თავიანთ მუშა-ძალას: წინაალმდეგ შემთხვევაში შიმშილით დაიხოცებოდნენ. დიახ, საწარმოვო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ჩაუგდიათ კერძო საკუთრებათ, ყველა ამას მოკლებულნი არიან პროლეტარები და სწორეთ ამიტომ არის, რომ პროლეტარები ექირავებიან კაპიტალისტებს, და არა კაპიტალისტები პროლეტარებს. აქედანვე წარმოსდგება პროლეტარების ექსპლუატაცია მათი დამქირავებელი კაპიტალისტების მიერ.

ყველა ეს ნათლადსა ჰფენს კაპიტალისტური წარმოების საერთო ხასიათს. ყველაზე პირველათ, თავის თავათ ცხადია, რომ კაპიტალისტური წარმოება არ არის, და არც შეიძლება იყოს, ერთი რამ მთლიანი და მოწყობილი, ის თავით ბოლომდე დაქუმაცებულია კერძო კაპიტალისტების კერძო წარმოებათ, მეორეთ, ცხადია აგრეთვე ის, რომ ამ დაქუცმაცებული წარმოების პირდაპირი მიზანი ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი არ არი, არამედ გასაყიდი საქონლის დამზადებაა კაპიტალისტური მოგების გასაძლიერებლათ. და რადგანაც ყველა კაპიტალისტს უნდა თავისი მოგების გაძლიერება, ამიტომ ყველა მათგანი ამზადებს რაც შეიძლება ბევრ საქონელს, რის გამოც ჩქარა ბაზარი ივსებე, საქონლის ფასი ეცემა და დგება საერთო კრიზისი.

ამგვარათ, კრიზისები, უმუშევრობა, წარმოების შეწყვეტა, წარმოების ანარხია და სხვა ამისთანები პირდაპირი შედეგი ყოფილა დღევანდელი წარმოების მოუწყობლობისა.

და თუ ეს ახიბულ-დახიბული ცხოვრება ჯერ კიდევ არ დანგრეულა, თუ ის ჯერ კიდევ მაგრა სდგას პროლეტარული იერიშების წინაალმდეგ,—ეს, ყველაზე პირველათ იმით აიხსნება, რომ მას მფარველათ ადგია კაპიტალისტური სახელმწიფო, კაპიტალისტური მთავრობა.

ასეთ ნიადაგზეა აშენებული დღევანდელი კაპიტალისტური ცხოვრება.

**კო...**

(შემდეგი იქნება)

## პარტიის ცხოვრება

—

**დამატებითი ცნობები პეტერბურგის კონფერენციაზე.** გაზ. „ტელეგრაფს“ მოჰყავს შემდეგი დამატებითი ცნობები პეტერბურგის კონფერენციის მესამე სხდომაზე. დუმის კანდიდატათ დასახელებულ იქმნა მუშა ბალშევიკი. იმ შემთხვევაში, თუ კადეტებმა კონფერენციისგან დასახელებული კანდიდატის შეცვლა მოინდომეს და სოც.-დემ. ამომრჩევლებს თავის კანდიდატის გაყვანა შეუძლებლათ გაუხდათ, კონფერენციამ გადასწყვიტა სოციალდემოკრატებმა „მემარცხენეთა ბლოკის“ ამომრჩევლებთან ერთათ სრულიად მიანებონ თავი არჩევნებს. რაც შეეხება ხმების მიცემას სხვა პირტიების კანდიდატებზე, გადაწყვეტილი იქმნა მხოლოდ მუშათა კანდიდატს ჩაუგდონ თეთრი კენჭი, ყველა დანარჩენებს კი-შავი. კონფერენციაზე განხილულ იქმნა აგრეთვე კითხვა „ნაკაზის“ შესახებ. „ნაკაზი“ საბოლოოთ გამომუშავებულ იქმნება პეტერბურგის კომიტეტის მიერ, ვინაიდან მისი დადგენილებანი სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისთვის, მაშასადამე „მენშევიკებისთვისაც“

**კიდევ დამატებითი ცნობები პეტერბ. კონფერენციაზე.** იმ ბრალდების გარდა, რომელიც კონფერენციამ წამოაყენა პეტერბურგელ მენშევიკების წინააღმდეგ, (იხ. „ჩვ. ცხ.“ № 2), კიდევ ერთი ბრალდება ყოფილა დასახელებული კონფერენციისგან. საქმე იმაშია, რომ რაკი კადეტებთან შეთანხმება ჩაჰშლიათ მენშევიკებს, გაბრაზებულნი წამოსულან და ჩუმი და მერე ცხადი აგიტაცია დაუწყვიათ წინააღმდეგ უკიდურეს მემარხენეთა სიისა, და ეს იმ დროს, როცა მათ ოფიციალურათ განაცხადეს: უკიდურეს მემარცხენეთა სიას მხარს დაუჭერთო! ამ ულირს საქციელის გამო კონფერენციას დაუდგენია: მენშევიკების ყოფაქცევა მას შემდეგ, როცა მათ კადეტებთან შეთანხმება ვერ მოუხერხდათ და როცა უკიდურეს მემარცხენეების შეთანხმება შესდგა, ყოფაქცევა, რომელიც დემონსტრატიულ პროტესტებში, მოწოდებაში და ობსტრუქციაში გამოიხატა წინააღმდეგ უკიდურეს მემარცხენეთა სიისა,—მენშევიკების ასეთი ყოფა-ქცევა პირდაპირა შელახვაა პროლეტარიატის და საერთო პარტიულ საქმისა კადეტების სასარგებლოთ.

**მენშევიკების კონფერენცია მოსკოვში.** ამჟამათ დიდი კამათია პარტიაში იმის შესახებ, თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგეს სოციალდემოკრატია სათათბიროში. დღემდის პარტიაში ყველა იმ აზრის იყო, რომ დღევანდელ რევოლიუციონურ პირობებში კანონმდებლობითს მოქმედებას არ უნდა ეწეოდეს სოციალდემოკრატია. ამავე შეხედულების იყვნენ მენშევიკებიც. მაგრამ ახლა უარუყვიათ ძველი შეხედულება და **კადეტებთან ერთათ** ამბობენ, რომ კანონმდებლობითი მოქმედება, ე. ი. სათათბიროში მოქმედება დღევანდელ „ძირითადი კანონების“ თანახმათ, საჭიროა სოციალდემოკრატიისთვისო. აი, მაგალითათ, მენშევიკების კონფერენციას დაუდგენია, რომ ჩვენმა დეპუტატებმა კანონმდებლობითი მოქმედება უნდა გასწიონო. საჭიროთ უცვნიათ აგრეთვე კადეტების სამინისტროს მხარის დაჭერა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსკოველი მენშევიკები ჩქარა თავიანთ თავს ლიბერალებად გამოაცხადებენ.

---

## რ უ ს ე თ ი

—

**წითელი და თეთრი ტერორი.** გაზეთ „პრავოს“ მოჰყავს შემდეგი ორი ცხრილი, რომლებიც გვიჩვენებენ, როგორც წითელ ისე თეთრ ტერორის მსხვერპლთა რაოდენობას 1906 წელში. გაზეთის აზრით „ტერორი ქვემოდან იქ იჩენდა ხოლმე უფრო ძლიერათ თავს, სადაც ძლიერია ტერორი ზემოდან“. ეს რასაკვირველია სრული ჭეშმარიტებაა. მოგვყავს ჯერ წითელი ტერორის მსხვერპლთა რაოდენობის მაჩვენებელი ტაბლიცა:

| | |
|---|---|
| მინისტრები და გენ.-გუბ. და სხ. | 52 |
| პოლიცმ. და მათი თანაშემწ. . . . | 24 |
| მაზ. უფ. პრისტ. უბნის ზედ. და სხ. | 268 |
| გოროდოვოები . . . . . . | 404 |
| ურიად. სტრაჟ. დვორნიკ. და სხვ. | 452 |
| ოხრან. ოტდ. უფრ. და აფიცრები | 30 |
| ჟანდარმები . . . . . . . | 90 |
| შპიონები . . . . . . . . | 151 |
| საარმიო აფიცრები . . . . . | 172 |

შემდეგი გვიჩვენებს თეთრი ტერორისგან დაზარალებულთა რაოდენობას 1905 და 1906 წლების სხვა და სხვა თვეებში.

| | 1905 | 1906 წ. |
|---|---|---|
| იანვარი | — | 125 |
| თებერვალი | 30 | 156 |
| მარტი | — | 197 |
| აპრილი | 141 | 229 |
| მაისი | | 205 |
| ივნისი | 159 | 164 |
| ივლისი | 109 | 427 |
| აგვისტო | 92 | 749 |
| სექტემბერი | 194 | 587 |
| ოქტომბერი | 133 | 508 |
| ნოემბერი | 32 | 197 |
| დეკემბერი | 98 | 519 |
| ს უ ლ | 364 | 3993 |

ეს ცნობები რასაკვირველია დაახლოვებითია.

**სოც.დემოკრატების „თავდასხმა“** შუიაში სოც.დემოკრატები თავდასხმიან ლიხონოვის ტიპოგრაფიას, რომელიც ქალაქის ცენტრში იმყოფება. დაუბეჭდიათ რამდენიმე ათასი პროკლამაცია და წასულან. ეს ამბავი დღისით მომხდარა. ადმინისტრაცია დღესაც ვერ მოსულა გონს ამ ფაქტის გამო. დაჭერილი ჯერ არავინაა.

**პაგრომები იწყება.** სახელმწიფო სათათბიროს წევრს კარავაევს შემდეგი ტელეგრამა მიუღია ეკატერინოსლავიდან: „ალექსანდროვსკის მცხოვრებთა შორის პანიკა სუფევს. ნამდვილ რუსთა კავშირმა „დრუჟინა“ შეადგინა და რეზინებიც გამოიწერა მისთვის ოდესიდან. 18 შემთხვევა მოკავშირეთაგან კერძო პირებზე თავდასხმისა უკვე მოხდა. მოკავშირე შეტოკიხინი, ერთ მაღაზიაზე შეიარაღებული თავდასხმისთვის დაჭერილი, თავისუფლათ დასეირნობს უკვე ქალაქში. სთხოვეთ მინისტრს, ზომები მიიღოს მცხოვრებთა მშვიდობიანობის დასაცავათ“.

**პოლიტიკური ტუსაღები.** დუმის გახსნის დღის მოახლოვებით ციხის ცხოვრებასაც სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. ზოგიერთ ციხეებში დებატებია გაჩაღებული იმის შესახებ თუ რანაირათ იქონიონ ზედგავლენა პოლიტიკურმა ტუსაღებმა დეპუტატებზე და მთავრობაზე, ამნისტიის მისაღებათ. ერთი ციხიდან რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს შეკითხვა მოუვიდა: რამდენათ მიზნის შესაფერი იქნები დუმის გახსნის დღეს მთელი რუსეთის პოლიტიკურმა ტუსაღებმა ერთდროული გაფიცვა რომ გამოაცხადონო. ამ წინადადებამ ვერ მოიპოვა ცენტრ. კომიტეტის თანაგრძნობა. როგორ შეხვდნენ მას სხვა პარტიების ცენტრალ. დაწესებულებანი ეს ჯერჯერობით გამორკვეული არაა.

**მოსკოვის აჯანყების წარსულიდამ.** ოფიციალურ გაზეთების ცნობებით, მოსკოვის აჯანყების დროს, რევოლიუციონერ დრუჟინებისათვის მთავრობას წაურთმევია 152 ვინტოვკა, და 446 რევოლვერი—ძველ სისტემისა და სულ დაშლილი ყოფილა. რაც შეეხება საუკეთესო და ახალ სისტემის თოფებს და რევოლვერებს რევოლიუციონერებს ყველა მათი დამალვა დროზე მოუსწრიათ.

---

## უ ც ხ ო ე თ ი

—

**გერმანია.** ლიბერალურ პარტიების პარლამენტარულ ფრაქციესის მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა. კავშირში შედიან, „თავისუფალ მოაზრეთა სახალხო პარტიის“ „თავისუფალმოაზრეთა კავშირის“ და „გერმანელთა სახალხო პარტიის“, წარმომადგენელნი საერთო კრებებზე, თავჯდომარეს არჩევს „თავისუფალ მოაზრეთა სახალხო პარტია“ თვის რიცხვიდან. ყველა მთავრობის წინადადებებს, ინტერპელაციებს, პეტიციებს, დეპუტატების წინადადებებს და სხვა ამგვარ კითხვებს არჩევს მთელი კრება სამივე ფრაქციასა. ხელშეკრულობის წესდება ხუთის მუხლისგან შესდგება.

**ბელგია** თებერვლის 18-(ახალი სტილით) ქ. ანტვერპენში დაასაფლავეს, შვეციას გემზე უცბათ გარდაცვალებული, ჩერნიაკი. და საფლავებას დიდი დემოსტრაციული ხასიეთი მიუღია. ამ დღეს თითქმის ყველა ანტვერპენის ფაბრიკა—ქარხნები დაკეტილი ყოფილა. მიცვალებულს მიაცილებდა 10,000 კაცი, კუბო მრავალი გვირგვინებით და წითელი დროშებით იყო შემკული... დასაფლავებას დაჰსწრებიან ბელგიის, ჰოლანდიის, შვეციის, იტალიის, შვეიცარიის და ინტერნაციონალურსოციალისტურ ბიუროს წარმომადგენლები. ჩერნიაკი, როგორც ვიცით, გემში უცბათ გარდაცვლილა. მის სიკვდილს სპიჩკის სუნს აბრალებდნენ (გემი სპიჩკით ყოფილა დატვირთული). ახლა საქმე გამორკვეულა და სიკვდილის მიზეზიც თითქმის გამოკვლეულია. აი, რასა სწერს ამაზე „ლეიპციგერ ვოლქს ცაიტუნგ“-ი: „ჩვენ სტოკჰოლმიდან გვატყობინებენ, რომ რუსის რევოლიუციონერები ჩერნიაკი და სამიც სხვა რუსეთის საიდუმლო პოლიციის მსხვერპლნი არიან. ორის დღის წინად იმ გემის გამოსვლისა, რომლითაც ჩერნიაკი მიდიოდა, სტოკჰოლმში მივიდა ერთი კაცი, რომელიც ფრანგ ვაჭრის **ლერიოს** სახელს ატარებდა, მაგრამ ახლა კი გამოირკვა, რომ იგი რუსის საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო. იმ დღეს, როდესაც ჩერნიაკის გემი სტოკჰოლმიდან გავიდა, ის საეჭვო ვაჟბატონი ვითომდაც ფრანგი ვაჭარი ლერიოც ერთბაშათ გაჰქრა. სტოკჰოლმის პოლიცია ამტკიცებს, რომ ჩერნიაკი ამ ლერიომ მოჰკლაო“.

---

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 თებერვალი

**ლოძი.** სათათბიროს დეპუტატები პარჩევსკი და პოპლავსკი ბერლინს მოვიდნენ და მიიღეს ლოძის საქსოვ ფაბრიკების კავშირის წარმომადგენლებმა. კავშირს ეგონა, დეპუტატებს დაწვრილებით ცნობების გაგება და მასალის მიღება სურთ ლოძის ლოკაუტის (მუშათა მასსიური დათხოვნა) შესახებაო, მაგრამ რაკი გაიგეს, რომ დეპუტატებს შუაკაცება და ფაბრიკის პატრონთა შერიგება სურდათ მუშებთან, მაშინ გადაჭრილი უარი განუცხადეს მოლაპარაკებაზე და თავიანთ კავშირის შესლებაზე მიუთითეს. ეს გარემოება აცნობეს ლოძის დეპუტატსაც, რომელიც ამიტომ ბერლინს აღარ წავა.

**პეტერბურგი.** კრონშტატში, ალექსანდრე I ფორტში, გარდაიცვალა შავის ჭირით ცნობილი დოქტორი და შავის ჭირის მკვლევარი, აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკის ექიმი შრეიდერი. მის ცხედარს დასწვავენ და შემდეგ ნაშთს საგანგებო სურნაში დასტოვებენ. გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ განსვენებულს, მეცნიერებისთვის წამებულ ექიმს, რადგან იგი ამ სენის გამოკვლევის დროს გახდა ავად და იმან იმსხვერპლა.

**სოსნოვიცი.** 17 თებერვალს დაიჭირეს ორი ვიღაც უცნობი, რომელთაც დავალებული და განზრახული ჰქონდათ სისრულეში მოეყვანათ პარტიულ სასამართლოს განაჩენი სადგურის უფროსის თანაშემწის რუტკევიჩის სიკვდილით დასჯის შესახებ. უპოვნეს რევოლვერები.

**პეტერბურგი.** 18 თებერვალს დაარსდა კავშირი მემარჯვენე და მონარქისტულ პრესსისა სატახტო ქალაქებსა და პროვინციებში. სულ 12 წარმომადგენელია. თავმჯდომარედ აირჩიეს თავადი ლ. მ. შახოვსკოი. მოაწყვეს ბიურო, რომელმაც უნდა შეადგინოს არტელი მონარქისტულ პრესსის ნაწარმოებთა განსავრცელებლად.

**ვაშინგტონი.** პრეზ. რუზველტმა 100 დოლარი შესწირა რუსეთის დაშვეულების სასარგებლოდ დაარსებულ ფონდს. წერილში რუზველტი სხვებსაც აქეზებს, შესწირეთო რუსეთის დამშეულ ხალხს თქვენი წვლილი.

**პეტერბურგი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნის დღეს, 20 თებერვალს, სასწავლებლებში სწავლა არ იქნება.

**პეტერბურგი.** მშრომელთა ჯგუფი და სახალხო სოციალისტების ბლოკი ყოველ დღიურ გაზეთებს აარსებენ:

**ეკატერინოსლავი.** 18 თებერვალს მიღებულ ცნობების თანახმად სიკვდილით დასჯა უმაღლესად ეპატია რვა კაცს, რომელნიც სადგურ ალექსანდროვსკაზე აჯანყებაში მონაწილეობდენ. სასჯელი კატორღით შეუცვალეს.

**ქუთაისი.** 19 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, ოთხმა შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვეს სათავადაზნაურო გიმნაზიის საქმის მწარმოებელი. წაიღეს 3111 მანეთი.

**სევასტოპოლი.** რკინის გზის კასირს ფილიპოვს, რომელსაც მოსტაცეს 4000 მანათი, მთავრობის განკარგულებით სახლი გაუჩხრიკეს და უპოვნეს 900 მან. მძარცველების მიერ დაჭრილი ჟანდარმი და სადგურის მოსამსახურე, რომელიც ფილიპოვს ახლდა, გარდაიცვალნენ.

**უფა.** 19 თებერვალს, დილის 10 საათზე, ქუჩაში ბრაუნინგით მოჰკლეს ციხის ინსპექტორი კოლბე. დამცემთაგანი ერთი შეიპყრეს მედუქნე—მუსულმანთა დახმარებით. მან განაცხადა, რომ რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ დაგვავალაო.

**კელცი.** 19 თებერვალს სოფელ ძერდუგოვოში 30 შეიარაღებულმა გაძარცვა სახელმწიფო არყის დუქანი. წაიღეს 110 მან.

**კიევი.** 19 თებერვალს ლევინსონის სახლში მიაგნეს ს.-დემოკრატიულ სტამბას. წაიღეს 20 ფუთი შრიფტი, 700 პროკლამაცია და ბეჭედი.

---

რედაქტორ-გამომც. **მ. კვაჭაძე.**